სარჩევი

მახვილის მეორე მხარე 1

ანკარა მზერით..... 3

…და მთვარესაც ვეღარავინ გამორთავს 5

ფრესკის ტირილი, ანუ ერთი მოთხრობის სივრცე..... 7

იონათამის თვალები..... 11

მახვილის მეორე მხარე

ილია ჭავჭავაძემ პუბლიცისტიკას განსა- კუთრებული მნიშვნელობა მიანიჭა და იყო პე- რიოდი, როცა პროზაზე მაღლაც კი დააყენა. ამიტომაცაა მისი პუბლიცისტური მემკვიდრეო- ბა ესოდენ მდიდარი და ხვავრიელი.

ერის უგვირგვინო მეფემ ყველაზე უკეთ

უწყოდა პუბლიცისტური მახვილის ძალა.

ილიას, ცხადია, არ უნდა ვედრებოდეთ - ეს ნებისმიერს სასაცილოდ გამოაჩენდა (გამო- უჩენია კიდეც), მაგრამ მისაბაძად და იდეალად უცილობლად უნდა ვსახავდეთ.

ილიას შემდეგ დაბადებული ყველა ქარ- თველი მწერალი, თუკი მართლა მწერალია, მის გზას უნდა მიჰყვებოდეს.

გიორგი სოსიაშვილი ილიას კვალში ჩამ- დგარი პროზაიკოსი და პუბლიცისტია.

ისიც ორლესული მახვილით იბრძვის. მახ- ვილს ორივე პირი ბასრი აქვს. ერთით ,,ნატყვი- არს“, „ბაღებს“ და „მძახლებს“ წერს, მეორით -

„სიზმარს“.

თემა ერთია, მაგრამ ,,სიზმარი“ პუბლი- ცისტიკაა და აქ პირდაპირ შეიძლება თქვა: ,,ეს რა გვიყო რუსმა, როგორ გაგვივლეს შუაგულ ქართლში მავთულხლართი, თითქო ჩვენს გუ- ლებში გაიარეს ფოლადის ეკლებმა“...

ასე თავის ოს ძმადნაფიცს მიმართავს.

სიზმარი კი იმისთვისაა, რომ ძმადნაფიცმა მავთუხლართს იქით დარჩენილი დანგრეული ტაძრის აღდგენა გადაწყვიტოს.

ვიცი, ეს ხილვა მოთხრობას დამაწერინებ- სო, - ეტყვის ოს მეგობარს.

ძალიც შესწევს ქადილისა.

ისიც კი ძალუძს, ღვთიურ ფრინველს ბა- რათი ფეხზე შეაბას და „იქით“ დარჩენილ მეუ- ფე ისაიასთან გაატანოს.

გიორგი სოსიაშვილის დავალებას მტრედი აუცილებლად შეასრულებს, ხოლო „მეუფე გუ- მანით მიხვდება, რა ეწერება ბარათში“...

ალბათ,უკვე ნათელია, რომ ეს მწერლის პუბლიცისტიკაა, ბელეტრისტული პასაჟებით გამდიდრებული.

კარგი პროზაიკოსები კარგ პუბლიცისტი- კასაც ქმნიან.

ნებისმიერი პუბლიცისტური კრებული რე- ალური პერსონაჟებით არის დასახლებული. ეს თავისებური ტაძარია, საკუთარი მრევლით.

უნდა გამოვტყდე: ამ კრებულს ღელვით ვკითხულობდი - მეშინოდა, ვინმე ისეთი არ შემ- ხვედროდა, ვისთან ერთადაც ტაძარში შესვლის სურვილი გამიქრებოდა.

ბოლოში რომ გავედი, შვებით ამოვისუნ- თქე - საშიშად აღარ მომჩვენებია წიგნის ერთ - ერთი ბინადარის გამაოგნებელი ფრაზა: „ არ შეველ ტაძრად, უწმინდური სადაც შევიდა.“

თუმცა, რაგინდ პარადოქსულიც იყოს, წიგნიდან მხოლოდ იმ ერთადერთ თავს ამოვი- ღებდი, ამ ღვთაებრივი სტრიქონების ღვთაებ- რივ ავტორს რომ ეხება.

თუ რატომ, ამას მკითხველი ადვილად მიხ- ვდება.

***

ამ კრებულის პერსონაჟები ავტორის ოჯა- ხის წევრებიც არიან. მწერალი მათ თავისებურ გამოცდას მოუწყობს - მშობლიური „სასაზ- ღვრო“ სოფლიდან ქალაქში გადასვლას შესთა- ვაზებს. დედა და მეუღლე ჩანაფიქრს ადვილად მიუხვდებიან, მეათეკლასელი ქალიშვილი კი მედგარ წინააღმდეგობას გაუწევს („დედას გე- ფიცები, თუ წამოვიდე!“).

ესეც ილიას კვალში დგომაა. ანუ ,,მომავალი ჩვენია“...

იოსებ ჭუმბურიძე

ანკარა მზერით

„მოთხრობა ომზე და ადამიანურ ურთიერთობებზე“ - ასე აზუსტებს და რაღაცნაირად ათბობს კიდეც ქვესათაური ერთობ მკაცრ სათაურს.

ომი მკაცრია და მისი დაუნდობლობა ადამიანურმა ურთიერთობებმა უნდა გადაძალოს.

სწორედ ამისთვის გაუჩენია უფალს მწერალი - ეს უნდა გვითხრას, არა, კი არ გვითხრას, დაგვანახოს, დაგვიხატოს.

ამბის გადმოცემა ბევრს შეუძლია, ჩვენება, ხატვა - ძალიან ცოტას.

გიორგი სოსიაშვილი მწერალი - მხატვარია.

ოსტატი.

ოსტატურად გვიხატავს ვითარებას, ეპიზოდს, ხასიათს, პორტრეტს...

2008 წლის აგვისტოს ომის შედეგად ქართველი კაცი საკუთარ სამშობლოში დევნილად ქცეულა. მავთუხლართს იქით დარჩენია არა მხოლოდ სახლ - კარი, მეუღლისა და უსაყვარლესი ქალიშვილის საფლავებიც. ვაჟიშვილთან ერთად უმკლავდება დარდსა და ტკივილს. კიდევ კარგი, სახლ - კარი მეზობელ ოსს გადაურჩენია, გამოვისყიდე და ჩემიაო, - უთქვამს გასაძარცვავად და დასარბევად მისული „ბოევიკებისათვის“.

ძაღლიც იქ დარჩენილა და იმ მეზობელს თავისთან გადაუყვანია.

მეტყველი დეტალი: შებინდდება თუ არა, ძაღლი ყმუილს იწყებს.

არ გვეგონოს, რომ ომამდე იდეალური მეზობლობა ჰქონდათ.

პირიქით, მიწისთვის მოჩხუბარი მეზობლები ყოფილან.

„ათ - ათ სანტიმეტრს დავდევდით და მთელი სოფელი კი დავუგდეთ რუსებს.“

ომმა მიახვედრა.

თვალები აუხილა.

ომს ესეც შეუძლია.

არ მინდა, მოთხრობის შინაარსი გადმოგცეთ.

მინდა, მხოლოდ მის მხატვრულ ღირსებებზე მიგანიშნოთ, გიორგი სოსიაშვილის პროზისთვის დამახასიათებელი უკვე აშკარა ინდივიდუალურობა, სტილის თავისებურება გამოვკვეთო.

აი, გიორგი სოსიაშვილის სტილისა და მხატვრული ოსტატობის რამდენიმე ნიმუში:

„მტრად წაკიდებულ მეზობლებში თავი ამოყო სიყვარულმა“...

„მთას თითქო ხელების მოხვევა უნდოდა, ჩახუტება უნდოდა, მაგრამ ეკლიანი მავთულებით იყო შებოჭილი“...

„შევატყე, რომ ეწყინა, ანკარა მზერაში მღვრიე წვეთები გამოუჩნდა“...

„ძაღლთან ჩამოვჯექი, ალბომი გადავუშალე და ისეთი წკმუტუნი ატეხა, ისეთი“...

ესეც „გაღმა“ დარჩენილი საოჯახო ალბომია.

თუ სად და როგორ შეხვდებიან მავთუხლართებს აქეთ - იქით დარჩენილი მეზობლები, სად გადასცემს ოსი ქართველს ხსენებულ ალბომს, რატომ უწოდებს მათ მწერალი მესაფლავეებს, ამას მოთხრობიდან შეიტყობთ.

დაიწყეთ კითხვა და ვერ მოსწყდებით: გიორგი სოსიაშვილი ხომ სიუჟეტის ოსტატიცაა.

და მთავარი, რისი გამეორებაც არასოდეს მომწყინდება: გიორგი სოსიაშვილის პროზით(დრამატურგიითაც!) აუცილებლად უნდა დაინტერესდნენ ხელისუფლება, კულტურის სამინისტრო, ლიტერატურის, თეატრის, კინოს ჭირისუფალნი. მისი ნაწარმოებები უნდა ითარგმნოს, დაიდგას, ფილმებად იქცეს...

თუ გვინდა:

გაღვივდეს და გაძლიერდეს ნდობა;

ანკარა მზერაში მღვრიე წვეთები აღარ გაერიოს;

მოგვარდეს თავსმოხვეული კონფლიქტი;

დავიბრუნოთ სამშობლო სამშობლოში...

იოსებ ჭუმბურიძე

...და მთვარესაც ველარავინ გამორთავს

...და მთვარესაც ველარავინ გამორთავს

ამ წიგნში შესული მოთხრობები ერთ რკალს ქმნიან და ეს რკალი მავთულხლართებით არის მოხაზული.

მოთხრობების თემა აგვისტოს ომი და მისი შედეგებია, რაც თავისთავად გულისხმობს მათს აქტუალურობას, მაგრამ თემა თავისთავად ვერ იგულისხმებს მხატვრულ ხარისხს, ურომლისოდაც მწერლობაში ყველაფერი არაფერია.

გიორგი სოსიაშვილის ახალი წიგნის განსაკუთრებულ მნიშვნელობას სწორედ მისი მაღალმხატვრულობა განსაზღვრავს.

ეს ის ბედნიერი შემთხვევაა, როცა ნამდვილი ამბები ორიგინალურ სახე-სიმბოლოებად გარდაიქმნებიან და ახალი მხატვრული რეალობის დაბადების მოწმენი ვხდებით.

ოსის გოგოს ქართველი ბიჭი შეუყვარდება და, სიყვარულის ძალით, მავთულხლართებში გამოძრომას მოახერხებს. ახალგაზრდების შეერთებას, ცხადია, სუფრაც მოჰყვება...

ეს თავისთავად ორიგინალური და საინტერესო სიუჟეტია, მაგრამ ნამდვილი ლიტერატურა მაინც იქ იწყება, როცა მწერალი იტყვის: „ალადასტურით სავსე ჭიქაში გაძვრა მზის სხივი“.

მაშინ მზის სხივი მავთულხლართებშიც გაძვრება.

სწორედ მავთულხლართებში გამძვრალი მზის სხივებითაა განათებული გიორგი სოსიაშვილის მოთხრობები, რომლებშიც მკაფიოდ მოჩანს იმის რწმენა, რომ სიყვარულსა და მეგობრობას მავთულხლართი ვერ შეაკავებს.

ეს ოპტიმიზმი მწერალს ხელს არ უშლის ტრაგიკული სინამდვილის მძაფრად ასახვაში – ნამდვილი ლიტერატურა ხომ ვერც უამისოდ შეიქმნებოდა.

აი, როგორ აღწერს მწერალი მშობლიური სოფლებიდან აყრილ, საკუთარ სამშობლოში დევნილებად ქცეულ ადამიანთა ყოფას:

„წაიქეიფებენ, წაიმხიარულებენ. სინამდვილეში იქ არვინ არის. ყველა გასულია ამ დროს სხეულიდან და თავიანთ გადამწვარ, ნახევრად დანგრეულ სახლებს საიქიოდან გამოპარული სულებივით დასტრიალებენ“...

ჭეშმარიტი მწერლობა სწორედ რეალობისა და მისტიკის ამგვარ ზღვართან იბადება.

გიორგი სოსიაშვილის მოთხრობებში განსაკუთრებული დატვირთვა აქვს დღისა და ღამის მნათობებს. მზე ან მთვარე, ანდა ორივე, თითქმის ყველგან ფიგურირებს.

ერთ-ერთი მოთხრობის მთავარი პერსონაჟი (უნდა ვიგულისხმოთ, თავად ავტორი) ომის დროს დაცარიელებული ქალაქის ჩაბნელებულ ქუჩებში დაბორიალობს და მისი ტრაგიკული განცდა ამგვარ სახე-სიმბოლოს ბადებს: „ლამპიონებთან ერთად, თითქო მთვარეც გამორთო ვიღაცამ"...

ერთი მოთხრობის დაწერა მარტო ამ დიდებული მხატვრული სახისთვისაც ეღირებოდა, მაგრამ გიორგი სოსიაშვილი მოთხრობებს იმიტომ წერს, რომ მის სამშობლოში მთვარისა და ლამპიონების გამორთვა ვეღარავინ შეძლოს.

ბოლო დროს აღარავინ საუბრობს ერთ დროს ძალიან მოდურ ე. წ. სახალხო დიპლომატიაზე. არ ვიცი, რატომ დაიწუნეს და რით ჩაანაცვლეს იგი, არც ის ვიცი, რამდენად ეფექტურია სხვადასხვა „ფორმატის" ორმხრივი თუ ოთხმხრივი შეხვედრები, ის კი ღრმად მწამს, რომ ლიტერატურისა და ხელოვნების მაგიური ძალა, ფაქტობრივად, გამოუყენებელია.

ჩემი ნება რომ იყოს, ამ მოთხრობებს სასწრაფოდ ვათარგმნინებდი და გამოვცემდი – ოსურად, აფხაზურად, რუსულად, ინგლისურად.... მათ საფუძველზე დავდგამდი სპექტაკლებს, გადავიღებდი ფილმებს... მაშინ ოსები და აფხაზები უკეთ მიხვდებოდნენ, რომ ერთმანეთის ბაღებს მანამდე უნდა გავუფრთხილდეთ, ვიდრე მათ სულ სხვა, ის „ვიღაცა" დაიკავებდეს.

ვაი, რომ უკვე დაიკავა კიდეც.

ახლა წართმეული ყველას დასაბრუნებელი გვაქვს – ჩვენც, ოსებსაც, აფხაზებსაც.

აი, ამის მიხვედრას ემსახურება მწერალი გიორგი სოსიაშვილი.

იმას ემსახურება, რომ ოსებმა(შესაბამისად, აფხაზებმაც) დაინახონ ალადასტურით სავსე ჭიქაში გამძვრალი მზის სხივი.

ეს წიგნი აგვისტოს ომზე და მის შედეგებზეა, მაგრამ აფხაზეთიც ბუნებრივად იგულისხმება.

და ხვალ ქართველ ბიჭზე შეყვარებული აფხაზი გოგოც გამოძვრება მავთულხლართიდან.

მზის სხივთან ერთად...

და მთვარესაც ვეღარავინ გამორთავს...

იოსებ ჭუმბურიძე

ფრესკის ტირილი,

ანუ ერთი მოთხრობის სივრცე

მოთხრობის სათაური რომ წავიკითხე, ვიფიქრე, 2008 წლის აგვისტოს ომზე იქნება – მეთქი.

ზუსტად 85 წლით მოვტყუვდი: მოთხრობაში 1923 წელია და ბოლშევიკური ხელისუფლების პირველი ბოროტებანია აღწერილი.

დიახ, ეს მოთხრობა არ არის აგვისტოს ომზე, მაგრამ იმას ეხება, რისი შედეგიც არის (ამ ომის ჩათვლით) ბოლო 100 წლის განმავლობაში ჩვენს სამშობლოში დატრიალებული ყველა უბედურება. როცა მოთხრობის სივრცეზე ვსაუბრობთ, უპირველესად, ამას ვგულისხმობთ. ის ვრცელიც არის და მრავალპლანიანიც (რუსები რომ „პოვესტს“ უწოდებენ).

მოთხრობას პროლოგიცა აქვს და ეპილოგიც, ორივე – შთამბეჭდავი და თანაც ისეთი, ადგილების გაცვლა რომ შეუძლიათ.

ეპილოგით დავიწყებ.

ზაქრო ეგინაძე სტალინის პორტრეტების კოლექციონერია. მათ შესაძენად ფულს არ იშურებს. უკვე ჩვიდმეტამდე შეუგროვებია. „აღარ დარჩა იმ ქალაქში სტალინის სურათი, საცა ერთი იყო, ყველა იპოვნა და იყიდა. სავსეა

მისი სახლი სტალინით“...

შეიტყობს, რომ არქივში ჰქონიათ კიდევ ერთი პორტრეტი. იმის ყიდვასაც გადაწყვეტს. უარს ეტყვიან. სამაგიეროდ, მთავარი არქივარიუსი ისეთ დოკუმენტს აჩვენებს, რომ შეძრწუნებული იტყვის, რისთვის მოვედი და რა დამახვედრესო...

ეპილოგი დროებით აქ მივატოვოთ და ბოლოში მივუბრუნდეთ.

მანამდე კი ბოლშევიკებმა სოფელში (ანუ ქვეყანაში) უამრავი უბედურება უნდა დაატრიალონ: ეკლესიის გუმბათიდან ზარი ჩამოაგდონ; მაცხოვრის ფრესკა დაცხრილონ; მღვდელი გაკრიჭონ; ბევრი კაცი და ოჯახი გაწირონ; ნათელ – მირონობა წაახდინონ; წესიერი კაცი ისე გაამწარონ, რომ შურისმაძიებლად აქციონ და ეს ათქმევინონ: „არ ყოფილა ძნელი კაცის მოკვლა“...

ამ თემაზე ბევრი დაწერილა.

ახალ მოთხრობას რომ კითხულობ, მთავარი მწერლური ოსტატობაა, ხატვის ნიჭი.

„ნატყვიარი“ სწორედ ამით არის გამორჩეული.

არაერთი ეპიზოდია იშვიათი ოსტატობით დახატული. მაგალითად, ეკლესიის გუმბათიდან ჯვრის ჩამოხსნა.

ჩამოსახსნელად სულგაყიდული სტიქაროსანი სერაპიონი ადის.

„რას სჩადი, შვილო, – ეფრემის ხმა მისდევს, – ნუ დაუჯერებ, ნუ წაიწყმედ სულს!“

სერაპიონმა ღრმად ამოისუნთქა, ცას აჰხედა, სადაც არც ღმერთი ჩანდა და არც მისი ანგელოზები. სერაპიონის

ფეხის ხმაზე გუმბათიდან მტრედები აფრინდნენ და წავიდნენ შორს, ძალიან შორს“...

მავთულებით დამაგრებული ჯვრის ჩამოხსნისას, სერაპიონს სახურავზე ფეხი დაუცდება, ჯვარს ჩაებღაუჭება (მეტყველი დეტალი!) და გუმბათიდან ჯვართან ერთად გადმოეშვება...

„ტაძრის კარიბჭესთან დამარცხებულ კაცთან პირველები ახალგაზრდა აქტივისტები მიცვივდნენ, მაგრამ ეფრემის სტიქაროსანს სიცოცხლის ნიშანწყალი აღარ ეტყობოდა.“

გუმბათზე ასული კაცის დანახვა ყველას ძალუძს. ნამდვილი მწერალი ის არის, ვინც იმას „ხედავს“, რომ სულგაყიდული სტიქაროსანი ცაზე ღმერთსა და ანგელოზებს ველარ ხედავს.

„როგორ უცბად ავიდა.

ცოდვის ჩადენისას, დრო სწრაფად გადის, – გაიფიქრა ვილაცამ“.

ვილაცა რომ გაიფიქრებს, იმ ფიქრის წამკითხველია ნამდვილი მწერალი!

ამას „ნატყვიარის“ არაერთი ეპიზოდი გაფიქრებინებთ.

რაც შეეხება პროლოგს, ის მართლაც გუმბათივით ადგას ტრაგიზმით გამსჭვალულ ამ მოთხრობას.

ვეება გუმბათზე მაუზერის ტყვიით დაცხრილულ ფრესკას შესცქერის ორი მეგობარი.

„ბენიამინი ყოფილა იმ ბიჭის პაპის მამა, – მეუბნება გიორგი.

– ბენიამინი ვინ იყო?

– სოფლის აღმასკომის თავმჯდომარე.

– მერე?"

სწორედ ეს „მერეა" მნიშვნელოვანი...

მოთხრობას რომ ჩაათავებ, ისეთი განცდა გაქვს, თითქოს რომანი წაგეკითხოს, იმდენად შთამბეჭდავი და შემძვრელია იქ აღწერილი ამბები და პერსონაჟები, თანაც, იმდენად კინემატოგრაფიულნიც, რომ გეგონება, დიდ ეკრანზე უცქერ.

აქ არაფერია ნათქვამი ფრესკის ტირილზე, მაგრამ მთელი მოთხრობის მანძილზე ამ ტირილს გრძნობ და განიცდი.

...და ბარემ ეპილოგიც ჩავამთავროთ:

„სტალინი, სტალინი, – ფიქრობს ზაქრო, – სტალინის სურათის სანახავად მოვედი და პაპაჩემის დახვრეტის ოქმი კი შემრჩა ხელში... უცნაურია ცხოვრება."

ცხოვრება თუ ჩვენ?

მწერალი ამ კითხვას არ სვამს, მაგრამ მოთხრობას ამაზე დასაფიქრებლად წერს.

წავიკითხოთ და დავფიქრდეთ...

იოსებ ჭუმბურიძე

იონათემის თვალები

იოსებ ჭუმბურიძე

გიორგი სოსიაშვილისაგან კარგი მოთხრობები დიდი ხანია, აღარ გვიკვირს. ამ კრებულის მთავარი სენსაცია მისი
პიესაა, ინტერესს სათაურიდანვე რომ აღძრავს. „წითელი უდაბნო“ - ეს ნახატია, რომელსაც სხვადასხვაგვარად
კითხულობენ: ზოგისთვის პროტესტის გამოხატულებაა, სხვათათვის - კვლავ „ უფროსი ძმისთვის“ გაღებული ხარკი.
სინამდვილეში კი ეს გაცილებით ღრმა მეტაფორაა, რომელიც მიგვანიშნებს, რომ ტირანული სახელმწიფოს
მახასიათებელთაგან „არ გამქრალა ჯერაც ყველა“...
პიესის მთავარი კონფლიქტი კი სწორედ ტირანული სახელმწიფოს ბელადს უკავშირდება, უფრო ზუსტად, მის უკვე
აღებულ ძეგლს, რომლის კვლავ აღმართვასაც მოითხოვენ „წითელი უდაბნოს
“ ბინადრები. ქალაქში, სადაცმოქმედება მიმდინარეობს, ამის მოწინააღმდეგენიც
უხვად არიან, მაგრამ ბელადის მოთაყვანენი ძეგლის დაბრუნებას
მაინც მოახერხებენ, თუმცა, სიჩქარეში შებრუნებით დადგამენ.
არა უშავს, მთავარია, რომ თავის ადგილს დაუბრუნდაო, - ამბობენ ბელადის მოთაყვანენი.
შევეწირები და მაინც ჩამოვიღებო, - გაჰყვირის ბელადის მოწინააღმდეგე.
უცებ ვიღაც დაიძახებს, იონათამი დაბრუნდაო და ყველა იქით მიიხედავს, სადაც ბელადის ეპოქაში ქალაქიდან
გადახვეწილი დიაკვნის შთამომავალი დგას. ძველი მედავითნე ცალთვალაა. ერთი თვალი დიდი ხნის წინათ
დაუკარგავს, მეორე კი ექიმის უცნაურ შეცდომას „შესწირვია“ - დაბინდული თვალში ბროლი უკუღმა ჩაუსვამს და,
ამის გამო, ყველაფერს შებრუნებით ხედავს.
ასეთი თვალით უყურებს მრავალი წლის შემდეგ მშობლიურ ქალაქში დაბრუნებული იონათამი ბელადის
შებრუნებულ ძეგლს და უცნაურად ეღიმება. ამ ღიმილით მთავრდება პიესა და

მკითხველს ბუნებრივად აღეძვრის

ინტერესი: ნეტავ როგორ ხედავს?

თუნდაც მარტო ამ პერსონაჟის გასაცოცხლებლად ღირს „წითელი უდაბნოს“ დადგმა.

რა თქმა უნდა, სხვა უამრავი ღირსების გამოც - გაუნელებელი დრამატურგიული

მუხტი და ექსპრესია,

რელიეფულად გამოკვეთილი ხასიათები, მძაფრი კოლიზიები და ღრმა ქვეტექსტები,

მხატვრული სიმართლე, ბეწვის

ხიდზე სიარულით რომ მიიღწევა...

ძალიან კარგმა პროზაიკოსმა ძალიან კარგი პიესა შექმნა.

რეჟისორებო, „აწ კი თქვენ“...